



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

16 09 2021 წ.

№ 148

ქ. თბილისი

დოკუმენტური ფილმის (კონკურსი #2/4) პროექტთა დაფინანსების თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის- საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურო დებულების მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საექსპერტო კომისიის 2021 წლის 13 სექტემბრის #1 დასკვნის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დაფინანსდეს დოკუმენტური ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსში (კონკურსი 2/4) მონაწილე შემდეგი პროექტები:

ა) "რეკვიემი ზაფხულის სიციხიან დღეებს" - პროდიუსერი - ააიპ „ათიკ პროდაქშენი“, რეჟისორი - გიორგი ფარქოსაძე - 78 682,80 (სამოცდათვრამეტი ათას ექვსას ოთხმოცდაორი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარით;

ბ) "სიცოცხლეში დაბრუნება" - პროდიუსერი-შპს „3003 ფილმ ფროდაქშენი“, რეჟისორი - ლანა ლოლობერიძე - 78 572 (სამოცდათვრამეტი ათას ხუთას სამოცდათორმეტი) ლარით;

გ) "ვიდინოთ" - პროდიუსერი- ააიპ „საქდოკ ფილმი“, რეჟისორი- სოფიო მედონიძე - 95 200,68 (ოთხმოცდათხუთმეტი ათას ორასი ლარი და სამოცდარვა თეთრი) ლარით;

დ) "შოთას და დანარჩენ 99-ს მოსწონს ეს" - პროდიუსერი - ააიპ "საავტორო ფილმების სტუდია", რეჟისორი - ერეკლე ინაშვილი - 67 964 (სამოცდაშვიდი ათას ცხრას სამოცდაოთხი) ლარით;

ე) "თბილისის ომი" - პროდიუსერი- ი/მ იოსებ დუმბაძე, რეჟისორი- იოსებ დუმბაძე - 80 074,64 (ოთხმოცი ათას სამოცდათოთხმეტი ლარი და სამოცდაოთხი თეთრი) ლარით;

ვ) "რაც თავი მახსოვს" - პროდიუსერი - შპს „ფორმო“, რეჟისორი - მაკა გოგოლაძე - 94 754,37 (ოთხმოცდათოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდათოთხმეტი ლარი და ოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარით;

ზ) "მჩხიბავი" - პროდიუსერი-შპს „ბი აი თი სტუდიო“, რეჟისორი - ანა კვიციანიძე - 70 115,49 (სამოცდაათი ათას ას თხუთმეტი ლარი და ორმოცდაცხრა თეთრი) ლარით;

თ) "მწარე შაქარი" - პროდიუსერი - ააიპ "ზავშეთა და მოზარდთა ჰარმონიული განვითარების ცენტრი", რეჟისორი - ანა ბარჯაძე - 56 090 (ორმოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცდაათი) ლარით;


ი) „შაქრო-ცხენი, ზორო, ფანტომასა და ტაისონა" - პროდიუსერი-შპს „პალესტრა“, რეჟისორი - თეიმურაზ ცავა - 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარით;

2. ბრძანების პირველ პუნქტში განსაზღვრული პროდიუსერებისთვის თანხის გამოყოფა წარმოებაში ჩაშვების მიზნით, განხორციელდეს პროდიუსერების მიერ „ეროვნული ფილმის დებულების“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6)

დირექტორი



გაგა ჩხეიძე